

პოლისემიური სიტყვების ერთგანზომილებიანი მოდელი

პოლისემია ანუ მრავალმნიშვნელობიანობა რეალურად არსებობს ყოველი კონკრეტული ენის სემანტიკურ სისტემაში. პოლისემიური სიტყვა შედგება რამდენიმე ლოგიკურ-საგნობრივი თვალსაზრისით განსხვავებული მნიშვნელობისაგან, რომლებიც აზრობრივი განსხვავებების მიუხედავად არ არღვევს პოლისემიური სიტყვის მთლიანობას და მის ცალკეულ ვარიანტებად გვეკვლინება.

რა იწვევს პოლისემიის წარმოშობას?
რატომ უჩნდება სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა?

პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ **რეალური მსგავსება იმ საგნებსა და მოვლენებს შორის**, რომლებიც ენაში ერთნაირად ანუ ერთი სიტყვით სახელდება. სამყაროს აღქმის პროცესში ადამიანის აზროვნება ცდილობს ასახოს არა მარტო ცალკეული საგნები და მოვლენები, არამედ, ის რეალური მსგავსებაც, რაც მათ შორის არსებობს. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლისემიის აღმოცენება განპირობებულია ადამიანის აზროვნების თავისებურებით ასახოს ენაში სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა.

ამასთან ერთად, სამყაროს შემეცნების პროცესში, ადამიანის აზროვნება ცდილობს ახალი, შეუცნობელი საგნები და მოვლენები ასახოს მათი კავშირებისა და მიმართებების მეშვეობით უკვე ნაცნობ, შემეცნებულ საგნებთან და მოვლენებთან. ე.ი. პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის აზროვნების უნარი სამყაროს შემეცნების პროცესში მისი მრავალფეროვნება დაიყვანოს ერთიანობაზე.

აქვე აღბათ ღირს აღინიშნოს კიდევ ერთი შესაძლო მიზეზი – ენაში ეკონომიის პრინციპის მოქმედება, კერძოდ, შინაარსის პლანის მრავალკომპონენტურობა გამოხატვის პლანში ერთი ერთეულითაა წარმოდგენილი. ამით, თითქოს გადაიჭრება ის წინააღმდეგობა, რაც არსებობს ენის შედარებით შეზღუდულ რესურსებსა და სამყაროს უსასრულო კონკრეტულობას შორის.

პოლისემიის წარმოშობის კიდევ ერთი მიზეზი თვით ლექსიკური მნიშვნელობის ბუნებითაა განპირობებული. მნიშვნელობის აბსტრაქტული ბუნება, მისი განმაზოგადებელი ფუნქცია უნდა განვიხილოთ, როგორც პოლისემიის აღმოცენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის აზრობრივი ერთიანობა განსაზღვრულია სხვადასხვა სახის აზრობრივი კავშირების, სემანტიკური „დაფების“ არსებობით, რომლებიც განაპირობებენ პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების შინაგან გადაჯაჭვულობასა და სიტყვას ერთიანი იერარქიული სტრუქტურის სახეს აძლევენ.

ამრიგად, პოლისემიური სიტყვის სტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და სხვადასხვა სახის აზრობრივი კავშირებით ერთიან სტრუქტურაში გაერთიანებული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების (ლ ს ვ) სიმრავლეს.

პოლისემიური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს შორის არსებული აზრობრივი კავშირები წარმოშობენ სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების სხვადასხვა არანაპირებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება **პოლისემიური სიტყვის სტრუქტურის სხვადასხვა სქემა, კარკასი, მოდელი.**

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ ჩვენ მიერ აღწერილი და გამოვლენილი პოლისემიური სიტყვების უნივერსალური მოდელებიდან ერთ-ერთი მოდელი, რომელსაც ერთგანზომილებიანი მოდელი ვუწოდებთ.

აღნიშნული მოდელი უპირატესად ზმნებისა და ზედსართავი სახელებისთვისაა დამახასიათებელი.

ზმნები და ზედსართავი სახელები, ანუ **პრედიკატული სიტყვები**, აღნიშნავენ ისეთ მნიშვნელოვან ლოგიკურ კატეგორიას, როგორიცაა „ნიშანი“.

პრედიკატული სიტყვები თავის კატეგორიალურ მნიშვნელობაში აერთიანებენ ორი რიგის კატეგორიას, კერძოდ: **საგნის ნიშანს, თვისებას** – ზედსართავ სახელებში და **მოქმედების, მდგომარეობის ნიშანს** ზმნებში.

ამასთან ერთად, ნიშანი, რომელსაც პრედიკატული სიტყვები აღნიშნავენ, გამოიყოფა საგანთა სრულიად განსხვავებული კლასებიდან. შესაბამისად, ზედსართავ სახელებსა და ზმნებში წარმოდგენილია ამა თუ იმ ნიშნის გამოვლენის მთელი მრავალფეროვნება სხვადასხვა კლასის საგნებში.

ზედსართავი სახელისა და ზმნების ყოველ მნიშვნელობასთან მუდმივად იგულისხმება სისტემური კონტექსტი, რომელიც ობიექტური რეალობის ერთი და იმავე კატეგორიის კომპონენტებს აღნიშნავს.

სისტემური კონტექსტის მეშვეობით ხდება ზედსართავი სახელისა და ზმნის მნიშვნელობების აქტუალიზაცია და არა მოტივაცია. სისტემური კონტექსტი პრედიკატულ სიტყვებში გამოავლენს იმ მნიშვნელობებს, რომელიც პოტენციურად არსებობს მათ აზრობრივ სტრუქტურაში.

სიტყვების პოლისემიური სტრუქტურის ანალიზისათვის ვიყენებთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ორ სემანტიკურ კომპონენტს, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ **გამჭოლი სემა** (საერთო სემა) და **სუბსემა** (განმასხვავებელი სემა).

გამჭოლ სემას (გს) ვუწოდებთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის იმ სემანტიკურ კომპონენტს, რომელიც პოლისემიური ზედსართავი სახელისა და ზმნის მთელი რიგი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის წარმოშობის საფუძველია.

სუბსემას კი ვუწოდებთ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მადიფერენცირებელ სემანტიკურ კომპონენტს. იგი ზმნისა და ზედსართავი სახელის სისტემური კონტექსტიდან გამოიყოფა. სუბსემა აკონკრეტებს გამჭოლი სემის განზოგადებულ შინაარსს ყოველ ცალკეულ ლ ს ვ-ში, რის შედეგადაც ვლინდება პოლისემიური ზმნისა და ზედსართავი სახელის ცალკეული მნიშვნელობები.

სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზისათვის გამოყენებულია მრავალსაფეხურიანი დეფინიციათა ანალიზის მეთოდი. გაანალიზებულია ისტორიულ პრინციპებზე დაფუძნებული ოქსფორდის დიდი ლექსიკონის, უებსტერის დიდი ლექსიკონისა და ინგლისური ენის სხვა განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციები.

გამკოლი სემისა და სუბსემის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ზედსართავი სახელი **straight**.

STRAIGHT

being free from deviation / bending / curvature /

1. Direct, not crooked
a straight street, a straight edge,

being free from deviation / bending / in direction

a straight railway line

2. Erect, not crooked or stooping
a straight back

being free from deviation / bending / in deportment

3. Direct; shortest; uninterrupted
a straight flight, a straight road,

being free from deviation in course

straight path, a straight way

4. Straightforward, frank, open
a straight answer, a straight question,

being free from deviation in truth, openness

straight talks

5. Fair, virtuous, honest
a straight man, a straight woman

being free from deviation in dealings / rectitude /

6. Consistent, logical, clear
a straight thinker

being free from deviation in some method

7. Conventional; respectable
she looked straight

being free from deviation from conventional, accepted,

traditional behaviour / norms / views

a straight play

8. Heterosexual
to be straight

being free from deviation from sexual orientation

სქემა 1.

პირველ სქემაზე წარმოდგენილია ზედსართავი სახელის straight მნიშვნელობები;

1. „სწორი“, direct, not crooked;

2. „სწორი, მხრებგამართული“, erect, not crooked or stooping;
3. „პირდაპირი, უმოკლესი“, direct; shortest; uninterrupted;
4. „სწორი; გულწრფელი, გულახდილი“, straightforward; frank, open და სხვა.

პირველი მნიშვნელობის სისტემური კონტექსტია ისეთი საგნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები, რომელთაც სიგრძივი ფორმა აქვთ. არსებით სახელთა ამ ჯგუფიდან გს **being free from deviation / bending** / გამოყოფს საერთო სემას **direction**, რომელიც შემოდის ზედსართავი სახელის მოცემული მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში, როგორც მისი კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის **being free from deviation / bending** / ზოგად მნიშვნელობას **being free from deviation / bending / in direction**, რის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის „სწორი“ რეალიზაცია.

მეორე მნიშვნელობის სისტემური კონტექსტია ზურგის, მხრების აღმნიშვნელი არსებითი სახელები. არსებით სახელთა ამ ჯგუფიდან გს **being free from deviation / bending** / ირჩევს საერთო სემას **deportment**, რომელიც შემოდის ზედსართავი სახელის მოცემული მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში, როგორც მისი კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის **being free from deviation / bending** / ზოგად მნიშვნელობას **being free from deviation / bending / in deportment**, რის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის „სწორი, მხრებგამართული“ რეალიზაცია.

მესამე მნიშვნელობის სისტემური კონტექსტია გზის, მარშრუტის, რეისის აღმნიშვნელი არსებითი სახელები. არსებით სახელთა ამ ჯგუფიდან გს **being free from deviation** ირჩევს საერთო სემას **course**, რომელიც შემოდის ზედსართავი სახელის მოცემული მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში, როგორც მისი კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის **being free from deviation** ზოგად მნიშვნელობას **being free from deviation in course**, რის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის „პირდაპირი, უმოკლესი“ რეალიზაცია და ა.შ.

* გ ს **წარმომშობი** სემანტიკური კომპონენტია, იგი მთელი რიგი ლ ს ვ-ის აღმოცენების საფუძველია;

* გ ს საერთო სემანტიკური კომპონენტია, სემანტიკური „ძაფია“, რომელიც პოლისემიური სიტყვის რამდენიმე ლ ს ვ-ს აერთიანებს;

* გ ს მაინტეგრირებელი სემაა, სწორედ მისი მეშვეობით ფუნქციონირებს პოლისემიური ზმნა და ზედსართავი სახელი, როგორც ერთიანი აზრობრივი სტრუქტურა;

* გ ს პარადიგმატულ ანუ ვერტიკალურ ჭრილში წარმოიშობა. მისი არსებობა ვლინდება პოლისემიური სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობის შედარების საფუძველზე;

* გ ს თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური სტატუსით უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შემადგენელი დიფერენციალური და პოტენციური სემები, რადგან იგი ზმნისა და ზედსართავი სახელის რამდენიმე ლ ს ვ-ს მართავს;

* გ ს იმპლიციტურად შეიცავს წარმოდგენას საგანთა იმ კლასებზე, რომელიც მოცემულმა ზმნამ ან ზედსართავმა სახელმა შეიძლება დაახასიათოს.

შესაბამისად იგი ახდენს მოტივირებას ან ბლოკირებას სისტემური კონტექსტის შერჩევისა, რომელსაც მოცემული ზმნა ან ზედსართავი სახელი შეიძლება შეუერთდეს;

გს განსხვავდება საერთო სემანტიკური კომპონენტისაგან, არქისემისაგან, ჰიპერსემისაგან იმიტომ, რომ იგი **წარმომშობი სემანტიკური კომპონენტია**. იგი არა მარტო საერთო სემანტიკური კომპონენტია რამდენიმე ლ ს ვ-სათვის, არამედ

იგი არის ზმნისა და ზედსართავი სახელის პოლისემიური მნიშვნელობების წარმოშობის საფუძველი და მართავს მათ.

* სუბსემა განმასხვავებელი სემაა, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა ზმნისა და ზედსართავი სახელის კონკრეტული ლ ს ვ. სუბსემას, ისევე როგორც გ ს-ს წარმოშობ სემად განვიხილავთ. თუ გ ს წარმოშობს პოლისემიური ზმნისა და ზედსართავი სახელის რამდენიმე ლ ს ვ-ს, სუბსემა ერთი კონკრეტული ლ ს ვ-ს წარმოშობის საფუძველია.

* სუბსემა გამოიყოფა საგანთა მთელი კლასიდან, რომელიც წარმოდგენილია არსებით სახელთა განსაზღვრული ჯგუფით. აქედან გამომდინარე იგი თავის თავში ატარებს წარმოდგენას საგანთა მოცემულ კლასზე და შესაბამისად დენოტაციის განსაზღვრულ სფეროზე;


* სუბსემა სინტაგმატურ ღერძზე წარმოიშობა ერთის მხრივ ზმნისა და ზედსართავი სახელის, მეორეს მხრივ კი არსებითი სახელის სემანტიკური სტრუქტურების ურთიერთმიმართებისას;

* სუბსემის არსებობის შედეგად ზმნისა და ზედსართავი სახელის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში ყოველი ლ ს ვ-სათვის წარმოიქმნება მოცემული სუბსემით გაერთიანებული სისტემური კონტექსტი.

ერთგანზომილებიანი მოდელი

ერთგანზომილებიანს ვუწოდებთ ისეთ პოლისემიურ ზმნებსა და ზედსართავ სახელებს, რომელთა ყველა ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი ერთი გამჭოლი სემის საფუძველზე წარმოიშობა.

(იხ. სქემა 2)



სქემა 2

ერთგანზომილებიანია ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ზედსართავი სახელი straight.

ერთგანზომილებიანი ზედსართავი სახელის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ინგლისური სიტყვა **LOW**. მისი ყველა ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი *being below the average level* გამჭოლი სემის საფუძველზეა წარმომშობილი.

1. **of small upward extent**
(a low wall, a low hill) *being below the average level in upward extension*
2. **not elevated in position**
(low bridges, Low Countries) *being below the average level in elevation from the ground or some other downward limit*
3. **not tall, short**
(a low man, a man of low stature) *being below the average level in stature*
4. **not high in amount**
(low price, low wages) *being below the average level in amount*
5. **deficient in degree of intensity**
(low redness, low colour) *being below the average level in degree of intensity*
6. **not loud**
(low voice, low laugh) *being below the average level in volume*
7. **of humble rank, position**
(low birth, low life) *being below the average level in social rank*
8. **wanting in elevation, of inferior quality**
(low art, low standard) *being below the average level in quality*
9. **wanting in decent breeding, vulgar, coarse**
(low person, low company) *being below the average level in social "respectability"*

ერთგანზომილებიანია ზედსართავი სახელი **CROOKED**. მის პოლისემიურ სტრუქტურას საფუძველად უღევს გ ს – *having deviation in / from /*

1. **not straight, bent, twisted**
(crooked streets, a crooked road, a crooked blade) *having deviation in direction*
2. **deformed; bent**
(an aged man with a crooked frame, yellow and crooked teeth) *having deviation from normal form*
3. **dishonest, not straightforward,**
(crooked politicians, crooked dealings) *having deviation in rectitude*
4. **fraudulent; illegal**
(crooked business, crooked business deal) *having deviation from legal frame*

ერთგანზომილებიანი ზმნის მაგალითად განვიხილოთ პოლისემიური ზმნა **ESCAPE**. აღნიშნული პოლისემიური ზმნის სტრუქტურას საფუძვლად უდევს გამჭოლი სემა *breaking / getting / away from*.

1. **to get away, to get free** *breaking / getting / away from (physical) confinement*
(to escape from prison,
to escape from the army)
2. **to avoid or retreat from the realities of life** *breaking / getting / away from unpleasant realities of life*
(to escape reality)
3. **to avoid or elude an evil that threatens** *breaking / getting / away from misfortune of any kind*
(to escape poverty, to escape punishment, to escape unhappiness)
4. **to avoid psychological problems** *breaking / getting / away from mental / psychological / problems*
(to escape television addiction)
5. **to elude notice or recollection** *breaking / getting / away from notice / mental grasp /*
(to escape one's mind,
to escape smb.'s eyes)

როგორც აღინიშნა, ერთგანზომილებიანო მოდელი უპირატესად ზმნებისა და ზედსართავი სახელებისთვისაა დამახასიათებელი.

განსხვავებით მაიდენტიფიცირებელი სიტყვებისაგან, როგორცაა არსებითი სახელები, რომლებიც, ასახავენ რა ობიექტური რეალობის საგნებსა და მოვლენებს, თავიანთი მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში მრავალ სემანტიკურ კომპონენტს შეიცავენ, პრედიკატული სიტყვები აღნიშნავენ ნიშანთვისებას. შესაბამისად მათი ლექსიკური მნიშვნელობა „ღარიბია“ სემანტიკური კომპონენტებით და ამდენად, უფრო ბუნებრივია, რომ პრედიკატული სიტყვების პოლისემიური სტრუქტურა გრძივი განვითარებით ხასიათდებოდეს და ერთი ნიშანი, ერთი სემანტიკური კომპონენტი მრავალი მნიშვნელობის წარმოშობის საფუძვლად იქცეს.

ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ეს განზოგადებული სემანტიკური კომპონენტი, რომელსაც ჩვენ გამჭოლი სემა ვუწოდეთ, უაღრესად არაავტონომიურია და სისტემური კონტექსტის გარეშე ვერ მოახდენს მნიშვნელობათა რეალიზაციას. ცხადია, სისტემური კონტექსტის როლი მნიშვნელოვანია პრედიკატული სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების რეალიზაციაში, მაგრამ, ჩვენმა სიღრმისეულმა კვლევებმა ცხადყო, რომ გამჭოლი სემა არ არის პასიური სემა, იგი მართავს პოლისემიური მნიშვნელობების წარმოქმნის პროცესს.

ცნობილია, რომ ნიშანთვისება ობიექტურ რეალობაში დამოუკიდებლად არ არსებობს. იგი საგნის შიგნითაა, საგანშია და მის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ ნიშანი, გარდასახული ენობრივ კატეგორიაში, წარმოდგება ცალკე კატეგორიად, ზედსართავი სახელისა და ზმნის კატეგორიად და სხვა ენობრივ

სტატუსს იძენს. ენის სისტემაში ნიშანი შედარებით ავტონომიურობას იძენს, რაც განაპირობებს ზედსართავი სახელისა და ზმნის და მათი სისტემური კონტექსტის რთულ ურთიერთმიმართებას მათ ლექსიკურ სინტაგმებში. სისტემური კონტექსტის როლი ზმნისა და ზედსართავი სახელის მნიშვნელობების რეალიზაციის პროცესში მდგომარეობს იმაში, რომ მას ზმნისა და ზედსართავი სახელის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში მოაქვს კერძო ინფორმაცია სუბსემის სახით, რომელიც აკონკრეტებს გ ს-ის ზოგად მნიშვნელობას, შლის მას კონკრეტულ ვარიანტებად, რის შედეგადაც ხდება ზმნისა და ზედსართავი სახელის ცალკეული ლ ს ვ-ის დიფერენციაცია და რეალიზაცია. მეორეს მხრივ, ზმნას და ზედსართავ სახელს, როგორც დამოუკიდებელ მეტყველებების ნაწილს თავისი მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში აქვს ისეთი სემები, რომლებიც არა მარტო წარმოშობენ მთელ რიგ ლ ს ვ-ს, არამედ მართავენ განსაზღვრული და არა ნებისმიერი არსებითი სახელის არჩევანს. ამაში მდგომარეობს ზმნისა და ზედსართავი სახელის, როგორც ენის ერთეულის დამოუკიდებელი არსებობა და აქტიური ფუნქცია. ენის სისტემაში საგნებისა და მათი ნიშან-თვისებების ურთიერთობა განზოგადების სრულიად სხვა დონეზე ყალიბდება. წინამდებარე სტატიაში ჩვენ წარმოვადგინეთ პრედიკატული სიტყვებისათვის დამახასიათებელი ერთი მოდელი. აღნიშნული მოდელი არ არის ზმნებისა და ზედსართავი სახელების ერთადერთი მოდელი. გარდა ერთგანზომილებიანი მოდელისა, ჩვენ შესწავლილი გვაქვს პრედიკატული სიტყვების სხვადასხვა მრავალგანზომილებიანი მოდელებიც.